

სს "ერისიმედი" ს/კ 201946822  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                     | შენიშვნა | 31.12.2022       | 31.12.2021       | 31.12.2020        |
|-----------------------------------------------------|----------|------------------|------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                                     |          |                  |                  |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                        |          |                  |                  |                   |
| ძირითადი საშუალებები                                | 3        | 806 988          | 862 142          | 951 444           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                    |          | <b>806 988</b>   | <b>862 142</b>   | <b>951 444</b>    |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                        |          |                  |                  |                   |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები          | 4        | 255 014          | 1 437 676        | 109 523           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 5        | 1 908 944        | 1 176 788        | 45 566            |
| მარაგები                                            | 6        | 885 661          | 780 001          | 804 134           |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | -        | -                | 137 497          | 83 018            |
| გაცემული სესხები                                    | -        | 909 211          | -                | -                 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                          | -        | -                | 37 115           | 30 248            |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                    |          | <b>3 958 831</b> | <b>3 569 077</b> | <b>1 072 489</b>  |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                             |          | <b>4 765 819</b> | <b>4 431 219</b> | <b>2 023 933</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                             |          |                  |                  |                   |
| საქციო კაპიტალი                                     |          | 92 045           | 92 045           | 92 045            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)           |          | 1 500 705        | (224 651)        | 178 936           |
| გადაფასების რეზერვი                                 |          | 215 142          | 215 142          | 215 142           |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                 |          | <b>1 807 891</b> | <b>82 536</b>    | <b>486 123.18</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                |          |                  |                  |                   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                   |          |                  |                  |                   |
| გადავადებული შემოსავალი                             |          | 2 494 351        | 3 734 378        | 757 948.00        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>               |          | <b>2 494 351</b> | <b>3 734 378</b> | <b>757 948</b>    |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                   |          |                  |                  |                   |
| მოკლევადიანი სესხები                                |          | -                | -                | 165 322           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები          | 7        | 180 676          | 298 519          | 231 939           |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                     |          | -                | -                | 29 413            |
| საგადასახადო ვალდებულებები                          |          | 16 465           | -                | 125 261           |
| გადასახდელი დივიდენდი                               |          | 48 734           | 48 734           | -                 |
| გადასახდელი ხელფასები                               |          | 217 702          | 267 053          | 227 927           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>               |          | <b>463 577</b>   | <b>614 306</b>   | <b>779 862</b>    |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                        |          | <b>2 957 928</b> | <b>4 348 684</b> | <b>1 537 810</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b>         |          | <b>4 765 819</b> | <b>4 431 219</b> | <b>2 023 933</b>  |

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2023 წლის 25 მაისს

გენერალური დირექტორი:

ირაკლი კოკია

ფინანსური დირექტორი:

ნონა შვანგირაძე




სს "ერისიმედი" ს/კ 201946822

სრული შემოსავლების ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                                        | შენიშვნა | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|------------------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                                                              | 8        | 5 788 625        | 2 127 849        |
| თვითღირებულება                                                         | 9        | (2 953 727)      | (1 964 703)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                                   |          | <b>2 834 897</b> | <b>163 146</b>   |
| სხვა შემოსავლები                                                       |          | -                | 26 588           |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი                                         | 10       | (1 114 817)      | (532 283)        |
| მიწოდების დანახარჯები                                                  |          | (12 734)         | -                |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა                                    |          | -                | -                |
| <b>სხვა ხარჯები</b>                                                    |          | <b>(107 247)</b> | <b>-</b>         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                               |          | <b>1 600 100</b> | <b>(342 549)</b> |
| ფინანსური შემოსავალი                                                   |          | 128 408          | (145)            |
| ფინანსური ხარჯი                                                        |          | -                | (44 388)         |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა                                               |          | 128 408          | (44 533)         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                              |          | <b>1 728 508</b> | <b>(387 082)</b> |
| მოგების გადასახადი                                                     |          | -                | -                |
| <b>წმინდა მოგება</b>                                                   |          | <b>1 728 508</b> | <b>(387 082)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი:                                                 |          |                  |                  |
| შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით |          | -                | -                |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                                        |          | <b>1 728 508</b> | <b>(387 082)</b> |

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2023 წლის 25 მაისს

გენერალური დირექტორი:

ფინანსური დირექტორი:

ირაკლი კოკია

ნონა შვანგირაძე

სს "ერისიმედი" ს/კ 201946822

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

|                                                                  | 2022               | 2021             | 2020             |
|------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                 |                    |                  |                  |
| მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები         | 4 268 370          | 1 544 637        | 3 760 838        |
| სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან                       | 195 524            | 3 001 723        | 1 002 815        |
| მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                           | (3 419 550)        | (1 874 368)      | (2 852 879)      |
| გაცემული შრომის ანაზღაურება                                      | (979 893)          | (357 068)        | (681 907)        |
| სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება                                 | (21 072)           | (17 825)         | (50 270)         |
| ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები                        | (101 723)          | -                | -                |
| გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)               | (881 781)          | (467 290)        | (629 208)        |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები            | (77 329)           | (91 581)         | (152 604)        |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>(1 017 454)</b> | <b>1 738 228</b> | <b>396 786</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>               |                    |                  |                  |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა        | (13 446)           | -                | -                |
| მიღებული გაცემული სესხი                                          | (50 100)           | -                | -                |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>(63 546)</b>    | <b>-</b>         | <b>-</b>         |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:</b>                  |                    |                  |                  |
| სესხების აღება                                                   | 360 000            | 600 000          | 1 051 000        |
| სესხების დაფარვა                                                 | (360 000)          | (759 211)        | (1 395 192)      |
| გადახდილი პროცენტები                                             | -                  | (720)            | -                |
| გადახდილი დივიდენდები                                            | -                  | (250 000)        | (256 500)        |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან</b>    | <b>-</b>           | <b>(409 931)</b> | <b>(600 692)</b> |
| ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)        | (101 661)          | (145)            | (1 035)          |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:</b>                           | <b>(1 182 661)</b> | <b>1 328 153</b> | <b>(204 941)</b> |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:</b> | <b>1 437 676</b>   | <b>109 523</b>   | <b>314 464</b>   |
| <b>ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:</b>      | <b>255 014</b>     | <b>1 437 676</b> | <b>109 523</b>   |

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2023 წლის 25 მაისს

გენერალური დირექტორი:

ფინანსური დირექტორი:

ირაკლი კოკია

ნონა შვანგირაძე



# სს "ერსიბმედი" ს/კ 201946822

|                                              | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | გადაფასების რეზერვი | მთლიანი კაპიტალი   |
|----------------------------------------------|------------------|----------------------|---------------------|--------------------|
| <b>2020 წლის 1 იანვარი</b>                   | <b>92 045</b>    | <b>1 794 430</b>     | <b>215 142</b>      | <b>2 101 617</b>   |
| წმინდა მოგება                                | -                | (1 050 695)          | -                   | (1 050 695)        |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>                 | <b>-</b>         | <b>(1 050 695)</b>   | <b>-</b>            | <b>(1 050 695)</b> |
| პერიოდის სრული შემოსავალი                    | -                | (293 325)            | -                   | (293 325)          |
| გაცემული დივიდენდი                           | -                | -                    | -                   | -                  |
| კაპიტალის ზრდა/მეცირება                      | -                | -                    | -                   | -                  |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>                | <b>92 045</b>    | <b>450 411</b>       | <b>215 142</b>      | <b>757 597</b>     |
| წმინდა მოგება                                | -                | (387 082)            | -                   | (387 082)          |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>                 | <b>-</b>         | <b>-</b>             | <b>-</b>            | <b>-</b>           |
| პერიოდის სრული შემოსავალი                    | -                | (387 082)            | -                   | (387 082)          |
| გაცემული დივიდენდი                           | -                | (291 132)            | -                   | (291 132)          |
| შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები | -                | 3 153                | -                   | 3 153              |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                     | -                | -                    | -                   | -                  |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>                | <b>92 045</b>    | <b>(224 651)</b>     | <b>215 142</b>      | <b>82 536</b>      |
| წმინდა მოგება                                | -                | 1 840 782            | -                   | 1 840 782          |
| პერიოდის სრული შემოსავალი                    | -                | 1 840 782            | -                   | 1 840 782          |
| მიღებული დივიდენდი                           | -                | -                    | -                   | -                  |
| შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები | -                | (3 152)              | -                   | (3 152)            |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>                | <b>92 045</b>    | <b>1 612 979</b>     | <b>215 142</b>      | <b>1 920 165</b>   |

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2023 წლის 25 მაისს

გენერალური დირექტორი:

ირაკლი კოკია

ფინანსური დირექტორი:

ნონა შვანგირაძე

# სს "ერისიმედი" ს/კ 201946822

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1. ძირითადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება ერისიმედი (შემდგომში კომპანია) დაარსებულია 1996 წლის 07 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი 201946822, მარეგისტრირებული ორგანო-თბილისი, დიდუბის სასამართლო. იურიდიული მისამართი-საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, სამტრედიის ქ. 2ა. მმართველობის ორგანო-სამეთვალყურეო საბჭო. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თავმჯდომარე/წევრი: გურამ კოკაია (პ/ნ 01010003698), წევრი: ნონა შვანგირაძე (პ/ნ 53001009770).

სს ერისიმედი ახორციელებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას.

**წარსადგენი ვალუტა.** ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

### მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის პრინციპის თანახმად, რომელიც შეცვლილია რეალური ღირებულებით ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების დროს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია: ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. მოგება და ზარალი გასვლისას განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობის და საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წლის მოგება ან ზარალში როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი ან ხარჯები. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს. მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შენიშვნები

მოწყობილობები და აღჭურვილობა

სასარგებლო მომსახურების ვადები წლებში

50

5-7

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა

## სს "ერისიმედი" ს/კ 201946822

აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში იქნებოდა რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს, აქტივების წარჩენი და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროებისამებრ შეიცვლება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს.

### სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ასახავს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შეძენის და მათ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს.

საანგარიშო წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი ჩამოწერილია ბალანსიდან ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე. ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი საქონელი ნადგურდება აქტით სპეციალური სამსახურის მიერ. ბასს 2-ის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, სადაც ნეტო(წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის „ჩვეულებრივი სამეურნეო პროგრესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით“. მათ შორის უმცირესის არჩევა განპირობებულია წინდახედულობის პრინციპით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა უნდა ხდებოდეს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

### ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღისათვის, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უსრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები თუ მოდელები დაფუძნებულია გაშლილი ხელის პრინციპის ახლანდელ ტრანზაქციებზე, ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების გათვალისწინებაზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის გარე ბაზრების ფასებზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულებით შეფასების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით, შემდეგნაირად:

- (i) პირველი დონე გულისხმობს კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) გაზომვას აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებებისთვის,
- (ii) (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების ტექნიკა ყველა მატერიალური შემავალი მონაცემისთვის, რომელიც დაკვირვებადი აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან ირიბად (ფასიდან გამომდინარე) და
- (iii) მესამე დონე წარმოადგენს შეფასებას, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან არადაკვირვებად შემავალ მონაცემებს).

### ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, დაკორექტირებული გარდგების დანახარჯებით, საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას, შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, შედეგად მაშინვე აღიარდება სააღრიცხვო ზარალი.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დამატებებს. მნიშვნელოვანმა და განუქვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დამატებებსა და შეფასებებში,

რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

#### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ასევე არსებული ვალდებულება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდით, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

#### ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

#### დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონლის ღირებულების მოთხოვნებისაგან.

მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

ფინანსურ ანგარიშებაში დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია მოთხოვნებს გამოკლებული უიმედო ვალები.

#### კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

#### სესხები.

სესხების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის დანახარჯების გამოკლებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

#### ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

#### სააქციო კაპიტალი.

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ზღვრული ხარჯები საკუთარ კაპიტალში ნაჩვენებია როგორც დაბეგვრის შემდგომი

## სს "ერისიმედი" ს/კ 201946822

გამრქვეთული შემოსულობა. ნებისმიერი მეტობა გამოშვებული აქციებისათვის მიღებულ ანაზღაურების რეალურ ღირებულებასა და მათ ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება როგორც საემისიო კაპიტალი.

### მფლობელის არაფულადი შენატანები

მფლობელის არაფულადი შენატანები წარმოადგენს კაპიტალში

შეტანილი წმინდა აქტივების ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობას.

### დივიდენდები.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება საკუთარი კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება და დამტკიცდება. ნებისმიერი დივიდენდები რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ხელმოწერამდე, განმარტებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენების შენიშვნაში.

### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

### ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

|                | 31დეკემბერი<br>2022 | 31დეკემბერი<br>2021 |
|----------------|---------------------|---------------------|
| ლარი/აშშდოლარი | 2,7020              | 3,5040              |
| ლარი/ევრო      | 2,8844              | 3,0976              |

### პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღება ნავარაუდევია.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

### გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, კომპანია თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

### საგადასახადო დაბეგვრა

აუღბრიტრებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს, საშემოსავლო-20%, დღგ-18%-ს.

გადასახადების გამოთვლა და გადახდა ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში არ წარმოქმნილა გადავადებული გადასახადი ან საგადასახადო აქტივი.

### შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პრობუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება

მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

#### **შემოსავალი მომსახურების გაწევიდან**

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები უნდა აღიაროს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასებასთანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა, როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვანი აქტის შესრულებამდე.

#### **შემოსავლების აღიარება**

ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას კომპანია მოელოს, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული თანხებისა. ამონაგები აღიარდება ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

#### **ხარჯების აღიარება**

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოიშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

# სს "ერისიბედი" ს/კ 201946822

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

ლარი

2019 წლის ბოლოს მდგომარეობით

შესყიდვა

გასვლა

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით

შესყიდვა

გასვლა

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით

შესყიდვა

გასვლა

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით

დაგროვილი ცვლილება

2019 წლის ბოლოს მდგომარეობით

ცვლილების ხარჯი

გასული აქტივების დაგროვილი ცვლილება

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით

ცვლილების ხარჯი

გასული აქტივების დაგროვილი ცვლილება

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით

ცვლილების ხარჯი

გასული აქტივების დაგროვილი ცვლილება

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით

საბალანსო ღირებულება

2019 წლის ბოლოს

2020 წლის ბოლოს

2021 წლის ბოლოს

2022 წლის ბოლოს

| მოწა      | შენიშნა-<br>ნაგებობები | მანქანა<br>დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა | სხვა     | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ჯამი         |
|-----------|------------------------|------------------------|--------------------|----------|-----------------------------|--------------|
| 94 000.00 | 938 033.36             | 249 615.52             | 107 022.08         | 7 453.00 | 450 456.13                  | 1 846 580.09 |
| -         | -                      | 3 613                  | -                  | -        | -                           | 3 613        |
| -         | -                      | 2 168                  | -                  | -        | -                           | 2 168        |
| 94 000    | 938 033                | 251 061                | 107 022            | 7 453    | 450 456                     | 1 848 025    |
| -         | -                      | 6 186                  | 9 446              | -        | -                           | 15 632       |
| -         | -                      | -                      | -                  | -        | 44 627                      | 44 627       |
| 94 000    | 938 033                | 257 247                | 116 468            | 7 453    | 405 829                     | 1 819 030    |
| -         | -                      | 7 788                  | 5 658              | -        | -                           | 13 446       |
| -         | -                      | 8 023                  | -                  | -        | -                           | 8 023        |
| 94 000    | 938 033                | 257 012                | 122 126            | 7 453    | 405 829                     | 1 824 453    |
| -         | -                      | -                      | -                  | -        | -                           | -            |
| -         | 283 448                | 160 884                | 75 390             | 5 709    | 279 250                     | 804 681      |
| -         | 33 198                 | 18 035                 | 6 326              | 99       | 34 241                      | 91 900       |
| -         | -                      | -                      | -                  | -        | -                           | -            |
| -         | 316 646                | 178 919                | 81 717             | 5 808    | 313 491                     | 896 581      |
| -         | 31 538                 | 15 239                 | 5 806              | 92       | 52 259                      | 104 934      |
| -         | -                      | -                      | -                  | -        | (44 627)                    | (44 627)     |
| -         | 348 185                | 194 159                | 87 522             | 5 899    | 321 123                     | 956 888      |
| -         | 29 961                 | 15 309                 | 6 303              | 85       | 16 941                      | 68 600       |
| -         | -                      | (8 023)                | -                  | -        | -                           | (8 023)      |
| -         | 378 146                | 201 445                | 93 825             | 5 984    | 338 064                     | 1 017 465    |
| -         | -                      | -                      | -                  | -        | -                           | -            |
| 94 000    | 654 585                | 88 731                 | 31 632             | 1 745    | 171 207                     | 1 041 900    |
| 94 000    | 621 387                | 72 141                 | 25 305             | 1 645    | 136 965                     | 951 444      |
| 94 000    | 589 849                | 63 088                 | 28 946             | 1 554    | 84 706                      | 862 143      |
| 94 000    | 559 887                | 55 567                 | 28 301             | 1 469    | 67 765                      | 806 989      |

# სს "ერისიმედი" ს/კ 201946822

## შენიშვნა-4

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

| ლარში                           | 31.12.2022     | 31.12.2021       |
|---------------------------------|----------------|------------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 2 768          | 1 361            |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 252 235        | 1 435 809        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 12             | 505              |
| <b>სულ:</b>                     | <b>255 014</b> | <b>1 437 676</b> |

## შენიშვნა-5

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                                          | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|------------------------------------------|------------------|------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1 386 081        | 1 135 179        |
| გარანტიები                               | -                | 8 542            |
| საექვო მოთხოვნების კორექტირება           | (112 274)        | -                |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ    | 129 566          | 27 843           |
| მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები          | 505 571          | 5 224            |
| <b>სულ:</b>                              | <b>1 908 944</b> | <b>1 176 788</b> |

## შენიშვნა-6

მარაგები

| ლარში                     | 31.12.2022     | 31.12.2021     |
|---------------------------|----------------|----------------|
| ნედლეული და მასალები      | 969 069        | 913 464        |
| ტრანსპ. სათად. ნაწილები   | 20             | 20             |
| საწვავ-საპოხი მასალები    | 6 987          | 2 936          |
| აკუმულატორი               | 694            | 694            |
| აუდიტის კორექტირება       | (259 340)      | (259 340)      |
| სახვრები                  | 508            | 508            |
| მცირეფ. და სწრაფფ. საკონ. | 167 724        | 121 720        |
| <b>სულ:</b>               | <b>885 661</b> | <b>780 001</b> |

## შენიშვნა-7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

| ლარში                    | 31.12.2022     | 31.12.2021     |
|--------------------------|----------------|----------------|
| მომწოდებლები             | 120 162        | 185 564        |
| მომსახ. წარმოვან. ვადები | 60 514         | 117 956        |
| <b>სულ:</b>              | <b>180 676</b> | <b>298 519</b> |

# სს "ერისიმედი" ს/კ 201946822

შენიშვნა-8

ამონაგები  
ლარი

შემოსავ. მშენებ.-დან  
შემოს. კომერციიდან  
ძირითადი საშუალების საიჯარო შემოსავალი  
ს უ ლ:

| 31.12.2022       | 31.12.2021       |
|------------------|------------------|
| 5 770 609        | 2 103 073        |
| 4 834            | 13 678           |
| 13 182           | 11 097           |
| <b>5 788 625</b> | <b>2 127 849</b> |

შენიშვნა-9

თვითღირებულება

ლარი  
ობიექტზე ჩამოწერილი მასალა  
ხარჯი [მასალის]  
მრიცხველის დამონტაჟების ხარჯი  
მივლინება  
ობიექტზე დარიცხ მუშების ხელფასი  
საწვავი  
ქვემოწერა  
ცვეთა და ამორტიზაცია  
ძირითადი საშუალებები  
მცირეფასიანი და სწრაფცვლადი საქონელი  
რემონტის დანახარჯები  
სხვა ხარჯი  
გაყიდული/შეძენილი საქონელი

ს უ ლ:

| 31.12.2022       | 31.12.2021       |
|------------------|------------------|
| 854 459          | 156 492          |
| 27 743           | -                |
| 169              | -                |
| 21 744           | 9 840            |
| 456 417          | 112 841          |
| 126 151          | 14 534           |
| 251 489          | 1 150 857        |
| 48 218           | 58 010           |
| -                | 28 941           |
| 22 848           | 33 004           |
| 7 457            | 11 229           |
| 1 131 204        | 371 196          |
| 5 827            | 17 759           |
| <b>2 953 727</b> | <b>1 964 703</b> |

შენიშვნა-10

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი  
მრეწველ ანაზღაურება  
ოფისის ხარჯები  
აუდიტ მომსახ.  
გაზი  
საკომუნიკაციო ხარჯები  
დენი  
დასაწყობება  
წყალი  
სატენდერო მოსაკრებელი  
დაზღვევა  
ცვეთა და ამორტიზაცია  
საგზაო და საბაჟო ხარჯები  
ბანკი  
საექვო მოთხოვნების კორექტირება  
წარმომადგენლობითი ხარჯი  
სხვა ხარჯი

ს უ ლ:

| 31.12.2022       | 31.12.2021     |
|------------------|----------------|
| 667 867          | 287 772        |
| 2 035            | 2 962          |
| 10 000           | 10 000         |
| 3 891            | 3 352          |
| 1 596            | 1 451          |
| 2 336            | 2 742          |
| 374              | 196            |
| 700              | 468            |
| 30               | 1 033          |
| 9 572            | 9 870          |
| 18 115           | 18 218         |
| 90 160           | 77 913         |
| 132 103          | 130 395        |
| 112 274          | -              |
| 4 922            | -              |
| 58 844           | (14 089)       |
| <b>1 114 817</b> | <b>532 283</b> |

## **ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა**

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

## **ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

## **ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შენდევია:

### **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს მომსახურების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

### **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

### **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

### **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიმზღი იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

### **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არაწაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში, კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### **ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტში N24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა და წარმოადგენს:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ

## სს "ერისიმედი" ს/კ 201946822

შორის, პოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;

(დ) კომპანიის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

ე.ი. ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2022წ

2021წ

ხელფასი

650159

200308

### კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მოქმედებს ისე:

-უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

-უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანხზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

### გაუთვალისწინებელი გარემოებები

#### დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას გააჩნია სურვილი განახორციელოს სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე დაზღვეულია თანამშრომლების ჯანმრთელობა.

#### დაზღვევის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და რეგულაციური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, რეგულაციური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

#### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სურვილი აქვთ: განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაძლებელია კომპანიისათვის.

#### სასამართლო დავები

2022 წლის განმავლობაში კომპანიას სასამართლო დავები არ ჰქონია.

#### ფინანსური ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

11

12

13